

ადამიანის მიერ ტკივილის შეფასებაზე ტკივილის მოლოდინის,  
სიტუაციური შფოთვისა და შუბლის წილის ფუნქციური მდგომარეობის  
ზეგავლენა

თეონა გუბიანური

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ მაყაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

*„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.*

თეონა, გუბიანური,            21 ივნისი, 2018

## აბსტრაქტი

ადამიანის მიერ ტკივილისადმი სენსიტიურობა ნაკლებია, როდესაც ის ელოდება მტკივნეულ გამღიზიანებელს, ან აქვს მსგავსი შეგრძნების გამოცდილება, წინააღმდეგ შემთხვევაში ტკივილის განცდა ძლიერდება. წინამდებარე ნაშრომი იკვლევს მოქმედებს თუ არა ტკივილის შეფასებაზე ტკივილის მოლოდინის დროითი ხანგრძლივობა, არის თუ არა ტკივილის შეფასება დამოკიდებული პიროვნების სიტუაციური შფოთვის მაჩვენებლის დონეზე და დიდი ტვინის რომელი სტრუქტურები მონაწილეობენ ტკივილის განცდის ფორმირებაში. კვლევაში გამოყენებულ იქნა სიტუაციური შფოთვის დონის დასადენი ფსიქოლოგიური კითხვარი, დიდი ტვინის აქტივობა აღირიცხებოდა ელექტრო-ენცეფალოგრაფიული (ეეგ) მეთოდით, ტკივილის მოლოდინის 5 წუთიანი, 10 წუთიანი, მყისიერი და გაფრთხილების გარეშე (საკონტროლო) პირობებში. ტკივილის შეფასება მოხდა, მტკივნეული გამღიზიანებლის მიყენების შემდგომ მიწოდებული კითხვარით, სადაც ტკივილის სიძლიერე ფასდებოდა შესაბამისი რიცხვითი მაჩვენებლებით. კვლევის რაოდენობრივი მონაცემები დამუშავდა პროგრამა SPSS-ით, ხოლო თვისობრივი მხარე ფერადი კარტირების (brain mapping) საშუალებით. მიღებული მონაცემებიდან ჩანს, რომ ადამიანის სენსიტიურობა მოსალოდნელი ტკივილის მიმართ ნაკლებია, როდესაც წინასწარ აფრთხილებენ ამის შესახებ, რაც გამოწვეულია მოსალოდნელი ტკივილისას თავის ტვინში ჰიპოთალამური-ჰიპოფიზურ-ადრენალურკოტიკალური ღერძის გააქტიურებით, რომელიც, თავის მხრივ კონტროლდება პრეფრონტალური ქერქით და აქვს ანალგეზიური ეფექტი; არ დადგინდა კავშირი სიტუაციური შფოთვის მაჩვენებელსა და ტკივილის შეფასებას შორის.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: *ტკივილი, მოლოდინი, შფოთვა, ელექტროენცეფალოგრაფია (ეეგ)*

*დიდ მადლობას ვუხდით ჩემ სამეცნიერო ხელმძღვანელ ბატონ მალხაზ მაყაშვილსა და  
ნეიროფიზიოლოგ ქალბატონ ირმა ხაჩიძეს გაწეული დახმარებისთვის.*